პროლეტარებო ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

პარასკევი
14 აპრილი
1939 წ.
№ 85 (5485)
ფასი 10 კაპ.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ბოლშევიკურად დავასრულოთ სასწავლო წელი

შაბარუკვებული სოციალიზმის ქვეყანა, სტალინური კონსტიტუციის მზით გასხივოსნებული, მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც შექმნილია ყოველგვარი პირობები მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისა და სრული გაფურჩქნისათვის.

ხალხთა საყვარელი ბელადი დიდი სტალინი საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე თავის შესანიშნავ ბრძნულ მოხსენებაში გენიალური გამჭრიახობით ამბობდა: „ხალხის კულტურული განვითარების თვალსაზრისით საანგარიშო პერიოდი ეწოდებოდა ერთ ძირითად კულტურული რევოლუციის პერიოდი. სსრ კავშირის ეროვნებათა ენებზე საყოველთაო-სავალდებულო პირველდაწყებითი განათლების დანერგვა ცხოვრებაში, ყველა საფეხურის სკოლების და მოსწავლეთა რიცხვის ზრდა, უმაღლესი სკოლების მიერ გამოშვებულ სპეციალისტთა რიცხვის ზრდა, ახალი, საბჭოთა ინტელიგენციის შექმნა და განმტკიცება,—ასეთია ხალხის კულტურული აღმავლობის საერთო სურათი“.

ლენინ-სტალინის დიდი პარტია და საბჭოთა მთავრობა სახალხო განათლების შემდგომ, კიდევ უფრო მეტ აყვავებაზე უდიდეს თანხებს ხარჯავენ. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ბიუჯეტის 40-50 პროცენტი სტალინური ეპოქის ბედნიერი მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეს ხმარდება. ჩვენში ყოველწლიურად შენდება რამდენიმე ათეული სასკოლო შენობა. ეს მოწმობს ჩვენი დიადი პარტიისა და პირადად ხალხთა გენიალური ბელადის დიდი სტალინის უდიდეს მზრუნველობას სახალხო განათლების საქმისათვის.

მესამე სტალინურ ხუთწლიდში სახალხო განათლების განვითარება ჯერ არნახულ დონემდე იქნება აყვანილი. ახალი სოციალისტური კულტურის აყვავება დაკავშირებულია ქალაქად საყოველთაო სავალდებულო სწავლების განხორციელებასთან, მთელ ჩვენს ქვეყანაში ათწლიანი სწავლის უდიდეს გაფართოებასთან.

მომდინარე სასწავლო წლის მესამე მეოთხედის განმავლობაში საგრძნობლად გაუმჯობესდა განსახკომის და ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელობა სკოლებისადმი. მესამე მეოთხედის შედეგების შემოწმებამ ნათელჰყო მთელი რიგი სკოლების წარმატებები. მასწავლებლები ენერგიულად მუშაობენ ბედნიერი მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდისათვის.

მაგრამ მიღწევებთან ერთად არის ნაკლოვანებებიც. ცალკე საგნების მიხედვით მთელი რიგი რაიონების სკოლები ისეთ ძირითად დისციპლინებში, როგორიც არის ჭართული და რუსული ენები, მათმატიკა, ისტორია და სხვა, წარმატების დაბალ მაჩვენებლებს იძლევიან. ასეთია წალენჯიხის პედასწავლებელი, სოფ. ახუთის (ჩხოროწყუს რაიონი), სოფ. ჯგალის (წალენჯიხის რაიონი), სურამის, კასპის საშუალო სკოლები და ყარაიის რუსული არასრული საშუალო სკოლა.

ყველაფერი ეს აიხსნება იმით, რომ სახალხო განათლების ორგანოები, სამეცნიერო-პედაგოგიური დაწესებულებანი, პედაგოგიური ჯგიბინები, სკოლის დირექტორები (გამგეები) და სასწავლო ნაწილის გამგეები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური და პედაგოგიურ-მეთოდური კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს, მასწავლებლებს არ უწევენ კონკრეტულ დახმარებას საუბრების, სემინარების, ლექციების ჩატარებით, საკმაო ყურადღებას არ აქცევენ სკოლებისა და მასწავლებლების მეთოდურ-პედაგოგიური სასიათის ლიტერატურით უზრუნველყოფის საქმეს, ინდივიდუალურ დახმარებას არ უწევენ ჩამორჩენილ მოწაფეებს და სხვ.

ცნობილია, რომ სარაიონო პედაგოგიური კაბინეტი წარმოადგენს პედაგოგიურ დაწესებულებას, რომელიც მუშაობს რაიონის განათლების განყოფილების გამგის უშუალო ხელმძღვანელობით და ეხმარება განათლების განყოფილებას რაიონის სკოლების მასწავლებელთა მეთოდური ხელმძღვანელობის განხორციელებაში.

მაგრამ ზოგიერთი რაიონის განათლების განყოფილების მუშაობა არ არის სათანადოდ გარდაქმნილი. ისინი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ თავიანთ გარშემო პოლიტიკურად და პედაგოგიურად მომზადებულ მასწავლებელთა აქტივის შემოკრებას. ეს აქტივი დიდ დახმარებას გაუწევს განათლების განყოფილებებს მათს ყოველდღიურ საქმიანობაში, მიმდინარე სასწავლო წლის წარმატებით დასრულებაში, მხოლოდ საჭიროა ამ აქტივთან სისტემატური მუშაობა, მუდმივი ზრუნვა მისი პოლიტიკური და პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

განათლების განყოფილებათა გამგეები ძალიან ხშირად ვერ იცნობენ სკოლებს, მასწავლებლებს, მოწაფეებს. არ იციან მათი მოთხოვნები. მაგალითად, წალკის რაიონის განათლების განყოფილების გამგეს ერთხელაც არ გამოურკვევია თავისი რაიონის სკოლები, არ შეუმოწმებია სასკოლო შენობებისა და ინვენტარის ტექნიკური მდგომარეობა. ამიტომ ამ რაიონში სუსტად იყო დაყენებული სასწავლო – აღმზრდელობითი მუშაობა, დაიცა დისციპლინა სკოლებში და სხვ. ანალოგიური მდგომარეობაა კასპისა და გორის რაიონის განათლების განყოფილებებშიც, რაც ყოვლად შეუწყნარებელია. განსახკომის ხელმძღვანელმა მუშაკებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

მომდინარე სასწავლო წლის ბოლოშეკრულებისათვის, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა განათლების ორგანოებმა უფრო მეტი კონკრეტულ-ოპერატიული დახმარება გაუწიონ სკოლებს. ამას გარდა, სკოლებმა პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე დაამუშაონ და შეისწავლონ გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია. გამოცდების ჩატარების წესის გარშემო ფართო ახსნა-განმარტება უნდა მიეცეთ როგორც მოწაფეებს, ისე მათ მშობლებს. ამიტომ ადგილებზე განათლების განყოფილებების მეთოდკაბინეტებს დიდი მუშაობა დასჭირდებათ სკოლის მუშაკებისათვის საჭირო ახსნა-განმარტების მისაცემად.

ჩვენი სკოლა სასწავლო წლის უკანასკნელ მეოთხედში შედის. წლის წარმატებით დამთავრება უზრუნველყოფილი იქნება, თუ ზუსტად მოეწყობა განვლილის განმეორება და თვით გამოცდები, თუ სკოლა მოწაფეებს, რომლებიც წელს ამთავრებენ კურსს, ახლავე დაეხმარება მათთვის უმნიშვნელოვანეს საკითხში — პროფესიის არჩევაში, თვითეულის ნიჭისა და მიდრეკილების მიხედვით.

გამოცდების დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა. ეს დრო მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ სკოლის მუშაკებმა როგორც პროგრამაში გათვალისწინებული ახალი მასალის გავლის, ისე განვლილის განმეორებისათვის. პროგრამის გაუვლელობა არავითარ შემთხვევაში არ დაიშვება. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აკადემიურად ჩამორჩენილ მოწაფეთა შორის მუშაობას.

სახალხო განათლების მუშაკებმა მომდინარე სასწავლო წლის დასრულებამდე უნდა განავრძონ მესამე სტალინური ხუთწლედის სახელმძღვანელო სოციალისტური შეჯიბრება, რათა ბოლშევიკურად დავასრულოთ მომდინარე სასწავლო წელი. არცერთი აკადემიურად ჩამორჩენილი მოწაფე, არცერთი მეორე წლიანი მოწაფე—აი რა უნდა იყოს საბჭოთა სკოლის თვითეული მუშაკის საბრძოლო ამოცანა.

ბაქრის ჭარხლის თესვა დამთავრდა

აბარა, (ტელეგრაფით). აბარის მტს-მა თავისი მომსახურების კოლმეურნეობებში ბაქრის ჭარხლის თესვა დაამთავრა. 10 აპრილიდან დაიწყო სიმინდის მასობრივი თესვა.

ა. მიქაძე
აბარის მტს-ის დირექტორი

მოწინავეები ბაქრის ჭარხლის თესვაში

ქასპი (საქ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებში მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტურმა შეჯიბრებამ ახალი საწარმოო აღმავლობა გამოიწვია. ბაქრის ჭარხლის თესვა ეადამდე სამი დღით ადრე დამთავრდა 18 კოლმეურნეობაში, დანარჩენ კოლმეურნეობებში თესვა სწრაფი ტემპით მიმდინარეობს.

ს. ყურაშვილი

საბჭოთა კავშირის მდინარეებზე დაიწყო ნაოსნობა

საბჭოთა კავშირის სამხრეთ რაიონებში მდინარეები გაიწმინდა ყინულისაგან. ვოლგის ქვედა ნაწილებში უკვე დაიწყო ნაოსნობა. 1 აპრილს ასტრახანიდან სტალინგრადისკენ წავიდა ნავთის პროდუქტებით დატვირთული პირველი 13 ქარავანი. ქარავანი უკვე მივიდა დანიშნულების ადგილას. აპრილის თვის პირველი დეკადის განმავლობაში სულ ასტრახანიდან ვოლგის ზემო რაიონებისაკენ გაგზავნილია 42 ქარავანი 371 ათასი ტონა ტვირთით.

დაიწყო გემების მოძრაობა ვოლგის ქვედა ნაწილებისაკენაც. 4 აპრილს ვლადიმიროვკიდან ასტრახანისკენ წავიდა პირველი გემი „ჩუსოვი“ და თან წაიყვანა მარილით დატვირთული სამი კარჭაპი. ამავე ნავმისადგომზე ამჟამად იტვირთება კიდევ 7 კარჭაპი.

ნაოსნობა დაიწყო აგრეთვე დნეპრზე, დონზე, ყუბანსა და ამუ-დარიაზე. (საკ.).

ნ. კოშელევის ახალი მსოფლიო რეკორდი

ლენინგრადი, 12 აპრილი (საკ. სის). დღეს ლენინის სახელობის კულტურის სახლში შესდგა საზოგადოება „ზენიტის“ სრულიად-საკავშირო შეჯიბრება სიმძიმეების აწევაში. სამჭიდრო შეჯიბრების მონაწილენი იყვნენ ლენინგრადის, კიევის, სტალინგრადის, კუიბიშევისა და საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების წარმომადგენლები.

სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ნ. კოშელევმა ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა მარჯენა ხელით აკვრაში საშუალო წონისათვის. ამხ. კოშელევმა მარჯენა ხელით 104 კილოგრამი და 200 გრამი აჭკრა, და ამრიგად 2 კილოგრამითა და 100 გრამით გადააჭარბა მის მიერვე 1935 წელს დამყარებულ რეკორდს.

დამთავრდა პარაშუტისტთა სრულიად-საკავშირო შეკრება

გატაისკი, (როსტოვის ოლქი), 11 აპრილი (საკ. სის). დღეს ბარანოვის სახელობის წითელდროშოვან საავიაციო სკოლაში დამთავრდა სამოქალაქო-საჰაერო ფლოტის საპარაშუტო-სამსახურის ინსტრუქტორთა სრულიად-საკავშირო შეკრება.

შეკრების დროს ჩატარდა დიდძალი გადმოხტომა, რომლის დროსაც ინსტრუქტორ-პარაშუტისტებმა რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში გადმოხტომის მაღალი ტექნიკა გვიჩვენეს.

ათვისებული და ჰაერში გასინჯული საბჭოთა კავშირში დამზადებული ახალი პარაშუტები. გამოცდის შედეგად დადასტურდა, რომ საბჭოთა პარაშუტი გაცილებით უკეთესია, ვიდრე იაპონური პარაშუტი „ნანაკი“, ინგლისური „ჟეკიუ“, ფრანგული „ავიარესი“, ამერიკული „ჰოფმანი“ და სხვ.

სასწავლო დავალებათა შესრულებისათვის ფრიადი შეფასება მიიღეს სსრ კავშირის საპარაშუტო სპორტის ოსტატმა ამხ. ვინოგრადოვმა, რომელმაც ჩაატარა გახანგრძლივებული საჩვენებელი გადმოხტომა, ამხ. ბაბტინმა, რომელმაც გვიჩვენა ძირს დაშვების საუცხოო ტექნიკა, ამხ. ფედუტენკომ, ჩერნობაევმა და სხვებმა.

პირველი მფრინავი ჩუკჩებში

ანადირი, 11 აპრილი (საკ. სის). ათი დღეა, რაც ანადირში იმყოფება საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. მაზურუკი. იგი ინსპექციას უწევს ჩუკოტკის პოლარული ავიაციის მუშაობას. ამხ. მაზურუკი საფრენოსნო განათლების ასამაღლებლად მოსკოვს ჰგზავნის პირველ მფრინავ ჩუკჩთა ჯგუფს. ყველა ისინი კომკავშირელები არიან; მათ მხოლოდ წელს დაამთავრეს მფრინავთა სკოლები. მაგრამ უკვე საკმაოდ კარგი მფრინავების სახელი დაიმსახურეს.

ამხ. მაზურუკს განზრახული აქვს უკან გამობრუნდეს მოსკოვს 20 აპრილს. თვითმფრინავი დაეშვება შმიდტის კონცხზე, ამბარჩიკისა და ტიქსის ბუხტებში, იაკუტსკში და სხვ. იგი ჩამოიტანს ბეწვეულისა და ძვლის უაღრესად საინტერესო მხატვრულ ნაწარმოებთ, რომლებიც ადგილობრივმა მოსახლეობამ დაამზადა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის.

საბჭოთა კავშირი

(საკდესის 11 აპრილის დეპეშების მიხედვით)

როსტოვის ოლქის პროლეტარსკაიას სტანიცაში სდგამენ **ვ. ი. ლენინის** ძეგლს. კვარცხლბეკი მოპირკეთებული იქნება მარმარილოთი.

○

დარნიცაში, კიევის მახლობლად, მთავრდება საბჭოთა კავშირში პირველი სარეგენერატორო ქარხნის მშენებლობა. რეზინის (ავტომაფარის) რეგენერაცია იწარმოებს გახსნის მეთოდით. 15 აპრილს ამუშავდება სალტების სარემონტო საამქრო, რომელიც წელიწადში 30 ათას ავტომაფარს და 60 ათას კამერას შეაკეთებს საბჭოთა მარკის ყველა ავტომანქანებისათვის.

○

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტი მუშაობს „სსრ კავშირის გეოგრაფიის“ რვატომიან გამოცემაზე. პირველი ტომი 40-45 ნაბეჭდი ფურცლის მოცულობით დამთავრდება მიმდინარე წელს. ეს ტომი შეიცავს საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთი რაიონების აღწერილობას. მთელი გამოცემა განზრახულია დასრულდეს სამი წლის განმავლობაში.

○

სუმის ელექტრომექანიკური ქარხანა „გლავსელელექტრო“ შეუდგა საბჭოთა ინჟინრის ამხ. კოროლევის კონსტრუქციის ელექტრონის საწველავი აპარატის მასობრივ დამზადებას.

გამოცდისას ელექტრონის საწველავმა აპარატებმა მაღალი ტექნიკური ღირსებანი გამოამჟღავნეს. ძროხის წველა გრძელდება 5-7 წუთს. რძე მექანიკური საშუალებით გაცილებით უკეთესად იწველება, ვიდრე ხელით წველის დროს.

ლენინგრადის ინტელიგენციის საერთო-საქალაქო კრება

ლენინგრადი, 11 აპრილი (საკ. სის). დღეს შესდგა ლენინგრადის ინტელიგენციის საერთო-საქალაქო კრება, საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შედეგებისადმი მიძღვნილი. ურიცკის სასახლის დიდ დარბაზში თავი მოიყარა ლიტერატურისა და ხელოვნების 1700 ბუშაკმა: მწერლებმა, კომპოზიტორებმა, არტისტებმა, მხატვრებმა, მოქანდაკეებმა, რეჟისორებმა.

კრება მჭუხარე ტაშით შეხვდა წინადადებას, რომ საპატიო პრეზიდიუმში არჩეულ იქნას საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დიდი სტალინის მეთაურობით. მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის დელეგატს ორდენოსან პოეტს ა. პროკოფიევს.

კრებამ დიდი ყურადღებით მოისმინა ამხ. პროკოფიევის მხატვრული და შინაარსიანი მოხსენება.

ტრიბუნაზე გამოდიან ლენინგრადის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. ისინი ლაპარაკობენ იმ განსაკუთრებით პასუხსაგებ ამოცანებზე, რომლებიც საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით დასახულია ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა წინაშე.

შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა ორდენოსანმა მწერალმა ამხ. ნ. ტიხონოვმა.

დიადმა ყრილობამ, — სთქვა მან, — შეგვმატა ჩვენ შეჯიბრების, სიამაყის, სულ უფრო და უფრო უკეთ მუშაობის სურვილის უდიდესი ძალა! ნაშ ყველანი ერთიანი ვიყოთ ამ საერთო შემოქმედებითს დაძაბულობაში! ხოლო თუ ამ მშვიდობიან საქმეებს ჩამოგვაშორებენ გაბოროტებული, საბოლოოდ ჭკუაზე შეშლილი ბტრები, მაშინ ერთი კაცივით ფეხზე დადგება მთელი ჩვენი ქვეყანა და ისეთ ლახვარს ჩასცემს მათ, რომლის შემდეგაც ისინი წელში ვეღარ გაიმართებიან. ჩვენი გზა ნათელია — ჩვენ მივდივართ კომუნიზმისაკენ, გონებისა და ბედნიერების ბრწყინვალე სამეფოში.

რუსეთის სფსრ სახალხო არტისტმა ამხ. ჩერკასოვმა ხელოვნების მუშაკებს რევოლუციური მარქსისტულ-ლენინური თეორიის ღრმად შესწავლისაკენ მოუწოდა.

— შეუძლებელია ლენინის, ლენინელის როლის შესრულება სცენაზე, თუ ლენინელი არა ხარ! შეუძლებელია მტრების გამომჟღავნება ხელოვნების საშუალებებით, თუ თვითონ გამსჭვალული არა ხარ ამ მტრებისადმი ნამდვილი სიძულვილით.

ორატორები ლაპარაკობენ იმაზე, რომ საბჭოთა ინტელიგენცია მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხთან, დიად კომუნისტურ პარტიასთან.

— მე კიდევ უფრო ღრმად შევიგრძენი, — გადმოგვცემს ყრილობაზე ყოფნის დროს მიღებულ შთაბეჭდილებებს კომპოზიტორი ი. დუნაევსკი, — თუ რამდენად ახლობელია ჩემთვის, ისევე როგორც მთელი ხალხური ინტელიგენციისათვის, ლენინ-სტალინის პარტიის ძლევამოსილი საქმე.

უკანასკნელად ქამათში გამოვიდა რეჟისორი ლ. ტრაუბერგი — ერთერთი ავტორი კინოტრილოგიისა ბოლშევიკ მაქსიმეზე.

— რაც უნდა დიდი იყოს საბჭოთა ხელოვნების წარმატებანი იგი უნდა იყოს და იქნება კიდევაც უფრო ქარგი, კიდევ უფრო გონიერი, კიდევ უფრო აღფრთოვანებული, — ამბობს ამხ. ტრაუბერგი, — ჩვენ ამას ვაცხადებთ გამარჯვების რწმენით, ვინაიდან მხოლოდ გამარჯვებებისაკენ მიეყვეართ ჩვენ, საბჭოთა ინტელიგენცია, საბჭოთა ლიტერატურა, საბჭოთა ხელოვნება იმ ადამიანს, რომელმაც გრანდიოზულ სიმაღლეზე აიყვანა ინტელიგენტის სახელწოდება. — საყვარელ იოსებ სტალინს!

კრებამ დიდის აღფრთოვანებით მიიღო მისალმებანი ხალხთა ბელადის — ამხანაგ სტალინის და მისი თანამებრძოლის — ლენინგრადის ბოლშევიკთა ხელმძღვანელის ამხ. ჟდანოვის სახელზე.

გამოუვენა „ლენინი და სტალინი ხალხურ სახვითს ხელოვნებაში“ 70.000 კაცმა ნახა

ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც მოსკოვში გაიხსნა დიდი გამოფენა „ლენინი და სტალინი ხალხურ სახვითს ხელოვნებაში“. სახვით ხელოვნებათა ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დარბაზები, სადაც გამოფენილია თვითნასწავლ მხატვართა ნაწარმოებნი, ყოველ დღე სავსეა ხალხით. ამ ხნის განმავლობაში გამოფენა 70.000-ზე მეტმა კაცმა ნახა. (საკდესი).

კინოფილმ „ჩკოროსის“ გეჭდვა

ლენინგრადი, 11 აპრილი (საკ. სის). ლენინგრადის 1 მაისის სახელობის პირის გადამღები ფაბრიკა შეუდგა კინოფილმ „ჩკოროსის“ (რეჟისორი ა. დოვჟენკო, კიევის კინოსტუდიის ნაწარმოები) დუბლნეგატივების დამზადებას. პირის გადამღებ სამ ფაბრიკაში (ლენინგრადის, მოსკოვისა და კიევის ფაბრიკებში) ამ დუბლნეგატივებით დაიბეჭდება ახალი ფილმის 820 ეგზემპლარი. პირველი პირები აპრილის დამლევს გაიგზავნება სსრ კავშირის უდიდეს ქალაქებში.

საპირველმაისო დღესასწაულზე მშრომელნი საბჭოთა კინოხელოვნების ახალ შესანიშნავ ნაწარმოებს ნახავენ.

ვ. ვ. მაიაკოვსკის ნაწარმოებთა მილიონიანი ჯირაჟები

ჩვენი ეპოქის უნიჭიერესი პოეტის ვ. ვ. მაიაკოვსკის ნაწარმოებთადმი ინტერესი წლითიწლობით იზრდება. საბჭოთა გამომცემლობებმა სულ გამოუშვეს პოეტის 198 სხვადასხვა ნაწარმოები, დაახლოებით 5 მილიონი ეგზემპლარი ტირაჟით, მათ შორის 36 ნაწარმოები სსრ კავშირის ეროვნებათა 17 ენაზე. რევოლუციამდე მაიაკოვსკის წიგნების ტირაჟი ცოტათი აღემატებოდა 4 ათას ეგზემპლარს. წელს გამოდის მაიაკოვსკის თხზულებათა 12-ტომიანი კრებულის მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა. (საკდესი).

მ. შოლოხოვის წიგნის „გაჯეხილი ყამირის“ ნარმავება შინეთში

მ. შოლოხოვის „გატეხილი ყამირი“, ფინურ ენაზე გამოცემული, დიდი წარმატებით სარგებლობს ფინელ მკითხველთა შორის. გაზეთი „კულტტაიან ლეხტი“ აქვეყნებს ვრცელ რეცენზიას, რომელშიაც სწერს: „ფინელი მკითხველი ამ წიგნს დიდის ინტერესით ჰკიდებს ხელს; ამ ინტერესს სავსებით აკმაყოფილებს წიგნი“. რეცენზიაში მოცემულია მ. შოლოხოვის მხატვრული ოსტატობის მაღალი შეფასება. რეცენზიის ავტორი შესანიშნავ მწერალს უწოდებს შოლოხოვს. (საკდესი).

50 წელი მ. ე. საღშიკოვ-შჩედრინის გარდაცვალებიდან

საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი ორგანიზაციები, სამეცნიერო ინსტიტუტები, გამომცემლობანი ემზადებიან დიდი მწერლის — სატირიკოს სალტიკოვ-შჩედრინის გარდაცვალების 50 წლისთავისთვის.

სახელმწიფო სალიტერატურო გამომცემლობა წელს ამთავრებს შჩედრინის თხზულებათა პირველი სრული კრებულის გამოცემას. ამ გამოცემის 20 ტომიდან 8 ტომი შეიცავს მასალებს, რომლებიც პირველად ქვეყნდება — შჩედრინის წერილებს, პუბლიცისტურ და კრიტიკულ სტატიებსა და სხვ. გარდა ამისა, გამოდის 7 ტომიანი კრებული და შჩედრინის რჩეული თხზულებათა ერთტომეული, მწერლის ცალკეული ნაწარმოებნი, ბიოგრაფიული და კრიტიკული ნაშრომები მის შესახებ.

საელიტერატურო მუზეუმი მოსკოვში და სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა ლენინგრადში ამზადებენ სალტიკოვ-შჩედრინისადმი მიძღვნილ დიდ გამოფენებს. საჯარო ბიბლიოთეკაში, რომელიც დიდი სატირიკოსის სახელს ატარებს, იქმნება სპეციალური „შჩედრინის კაბინეტი“. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტი და ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტი აწყობენ მწერლისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სხდომებს. ლენინგრადის მცირე საოპერო თეატრი სდგამს საბჭოთა კომპოზიტორის პაშჩენკოს ოპერას — „პომპადურები“. ეს არის სატირიკული ოპერა, რომლის ლიბრეტოს საფუძვლად უძევს შჩედრინის ცნობილი ნაწარმოები „პომპადურები“ და „ერთი ქალაქის ისტორია“. (საკდესი).

ახალი წიგნები

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ დაბეჭდა და გამოუშვა ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის სტატიების კრებული—„ლენის ამბების შესახებ“.

კრებულში მოთავსებულია ვ. ი. ლენინის სტატიები: „დემონსტრაციათა დაწყება“, „რ. ს. დ. მ. პ.-ის საარჩევნო პლატფორმა“, „რევოლუციური ალმავლობა“ და „რევოლუციური პროლეტარიატის მაისობა“.

ი. ბ. სტალინის სტატიებიდან კრებულში მოთავსებულია: „ახალი ხანა“, „ისინი კარგად მუშაობენ...“, „დაიძრა!“, „დასკვნები“, „1912 წლის საპირველმაისო ფურცელი“, „პრავდის“ ათი წლისთავისათვის“, „ამხანაგ სტალინის მისალმება ლენის მუშებისადმი“, რომელიც მთავსებული იყო „ლენსკი შახტიორ“-ის 1927 წ. 17 აპრილის მე-8 ნომერში.

კრებულის ტირაჟი 100 ათასი ცალია.

○

დაიბეჭდა და გამოვიდა წიგნი: ი. სტალინი „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“ (1924 წ. აპრილის დასაწყისში სვერდლოვის უნივერსიტეტში წაკითხული ლექციები).

წიგნი მშვენივრადაა გაფორმებული. მისი ტირაჟი 100 ათასი ცალია. (საკდესი).

„სევდოვის“ დრეიფი

გმირ პოლარელთა მეცნიერული აღმოჩენები

ოკეანოგრაფიისა და საზღვაო თევზმეურნეობის სრულიად-საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პროფესორმა ვ. გ. ბოგოროვმა საკდესის თანამშრომელს ცნობები მიაწოდა ყინულმჭრელ „სედოვის“ გმირული ეკიპაჟის მეცნიერული მუშაობის შესახებ. ჩრდილოეთის განედის 75 გრადუსიდან ლაპტევის ზღვაში (ნოვო-სიბირსკის კუნძულების ჩრდილოეთით), სადაც მოხდა „სედოვის“ სამთლოდ ჩაშვება ყინულში, დრეიფი მუდამ ჩრდილოეთისაკენ მიდიოდა აღმოსავლეთისაკენ გადახრით. ყინულები, მოძრაობენ რა ქარის ზემოქმედებით, ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ქარის მოქმედების მიმართულების მარჯვნით იხრებიან. ეს გადახრა დედამიწის ბრუნვის ძალის მოქმედების შედეგად ხდება, იმ ბრუნვისა, რომელიც ყინულის მინდვრების დრეიფს სწორხაზოვანი მოძრაობიდან თითქმის 40 გრადუსიანი კუთხით გადაახრის.

მიაღწია რა 1938 წლის ივლისში ჩრდილოეთი განედის 81 გრადუსს, დრეიფმა ძირითადად დასავლეთისაკენ შეიცვალა მიმართულება.

თუ შევადარებთ ნანსენის „ფრამის“ და „სედოვის“ მოძრაობას, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ დრეიფის სრული განმეორება არ მომხდარა. მიუხედავად იმისა, რომ „სედოვი“ მეტად ახლო იყო იმ რაიონთან, სადაც „ფრამმა“ დაიწყო დრეიფი, „სედოვი“ დრეიფმა მნიშვნელოვან ხანძილზე წაიღო აღმოსავლეთისაკენ. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ „სედოვის“ დრეიფი გაცილებით უფრო ჩრდილოეთით მიმდინარეობს. უკვე 1938 წლის 14 ნოემბერს 126 მერიდიანზე „სედოვმა“ განედის 85 გრადუსსა და 39 წუთს მიაღწია. 1939 წლის თებერვალში „სედოვმა“ განედის 86 გრადუსი გადალახა და დაამყარა ჩრდილოეთში გემის ყოფნის რეკორდი.

ამრიგად, ემეორებს რა წყნარად მოძრაობას, „სედოვი“ „ფრამზე“ გაცილებით უფრო ჩრდილოეთით დრეიფობს. ცალკეულ დღეებში „სედოვი“ 400 კილომეტრზე ნაკლებ მანძილზე იმყოფება ჩრდილოეთის პოლუსიდან. ორი გემის დრეიფის ხასიათის ეს განსხვავება აიხსნება მეტად საინტერესო მოვლენით — არქტიკის „დათბობით“, რაც დაკავშირებულია ყინულების გატანის ცვლილებასთან.

ყინულმჭრელზე სწარმოებს მრავალი სხვადასხვა ხასიათის სამეცნიერო გამოკვლევა. ყოველ 2-4 საათში სწარმოებს ამინდის დაკვირვება. ხდება დრეიფის გზისა და ყინულების ხასიათის ფიქსაცია, იზომება წყლის ტემპერატურა, ზღვის სიღრმე. ტარდება გრავიტაციული დაკვირვება, მაგნიტური გამოკვლევა; ეს საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოდ არქტიკის მაგნიტური რუკა, რაც ესოდენ საჭიროა მეზღვაურებისა და მფრინავებისათვის. სწარმოებს დაკვირვება პოლარული აუზის ცხოვრებაზე და მთელი რიგი სხვა გამოკვლევები, რომლებიც შეადგენენ ოკეანოგრაფიისა და მეტეოროლოგიის სრულ კომპლექსს.

„სედოვის“ დრეიფმა გამოარკვია დიდი გეოგრაფიული ფაქტი: არსებობს თუ არა სანნიკოვის მიწა? ახლა „სედოვის“ დრეიფის წყალობით, რომელმაც განვლო ყველა ის ადგილები, სადაც „სანნიკოვის მიწა“ ეგულებოდათ, შეიძლება ბტკიცედ ვთქვათ, რომ ეს მიწა არ არსებობს და რომ ამ მიმართულებით, ნოვოსიბირსკის კუნძულების ჩრდილოეთით, მცირე სიღრმის ზღვაა, რომელიც შემდეგ ჩრდილოეთისაკენ ღრმა პოლარულ აუზად იქცევა. ეს თავისებური „აღმოჩენა“ დიდ გეოგრაფიულ მიღწევას წარმოადგენს. (საკდესი).

უკანასკნელი ცნობები

საკდესის ცნობა

საფრანგეთის პრესაში, აგრეთვე გერმანიისა და ინგლისის პრესაში ხშირად ავრცელებენ საბჭოთა ნაღმოსნებისა და კრეისერების ბოსფორზე გავლით საბერძნეთისაკენ „გალაშქრების“ შესახებ ალბანეთში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით. საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ ეს ცნობა სინამდვილეს სრულიად არ შეეფერება, ვინაიდან ამ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში საბჭოთა შავიზღვის ფლოტის არც ერთ ნაღმოსანს და არც ერთ კრეისერს არ დაუტოვებია სადგომი ადგილი და არ გაუვლია ბოსფორი.

ალბანეთის დამოუკიდებლობის ღიკვიდაცია

რომი, 13 აპრილი (საკდესი). რომში გამოქვეყნდა სპეციალური ცნობა იმის შესახებ, რომ „ალბანეთის დროებითმა ადმინისტრატიულმა კომიტეტმა“ ალბანეთის გვირგვინი იტალიის მეფეს შესთავაზა.

როგორც ვიცით, იტალია ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ არწმუნებდა ინგლისს ალბანეთის დამოუკიდებლობა დაცული იქნებაო. ოფიციოზური გაზეთი „ჯორნალე დ'იტალია“ მოწონებას სტატიაში შემდეგნაირად „ასაბუთებს“ ალბანეთის დაპყრობას იტალიის მიერ. გაზეთი აცხადებს: „იტალიამ ამ უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში 2,5 მილიარდი ლირა დააბანდა ალბანეთში. ამან შეჰქმნა იტალია-ალბანეთის ინტერესთა სოლიდარობა, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა იმაში, რომ ალბანეთში ახალი რეჟიმი დამყარდა“.

ალბანეთის პარიზელი მისიის განცხადება

პარიზი, 13 აპრილი (საკდესი). ალბანეთის დიპლომატიურმა მისიამ პარიზში განაცხადა, რომ იგი წინადადებურად განაგრძობს თავის მოქმედებას ისევე, როგორც იტალიის ჯარის მიერ ალბანეთის ოკუპაციამდე. მისია უარს ამბობს აღიაროს იტალიელი ოკუპანტების მიერ ტირანში შექმნილი ეგრეთწოდებული „ალბანეთის დროებითი ადმინისტრატიული კომიტეტი“.

ნოტების გაცვლა-გამოცვლა იტალიასა და საბერძნეთს შორის

რომი, 13 აპრილი (საკდესი). იტალიის გაზეთებმა გამოაქვეყნეს იტალიის ათონელი ელჩის მიერ საბერძნეთის მთავრობისათვის გადაცემული ნოტის ტექსტი. ამ ნოტაში აღნიშნულია, რომ იტალიას „განზრახული არა აქვს დაემუქროს საბერძნეთის ტერიტორიულ მთლიანობას“. გაზეთი აქვეყნებს აგრეთვე საბერძნეთის სა

ფაშისტური გერმანია ახალ აგრესიას ამზადებს

გერმანია-პოლონეთის მოღაპარაკება

ლონდონი, 12 აპრილი (საკდესი). მთელი ინგლისის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს იმ მოლაპარაკებას, რომელსაც ამჟამად აწარმოებს პოლონეთის ბერლინელი ელჩი ლიპსკი.

გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის“ ბერლინელი კორესპონდენტის სიტყვით, ამ მოლაპარაკების დროს გერმანელებმა მოითხოვეს პოლონეთში მცხოვრები გერმანული უმცირესობის პრობლემის მოწესრიგება, დანციგის მოქცევა გერმანიის იმპერიაში, ექსტერიტორიული ავტოსტრადის გაყვანა პოლონეთის კორიდორზე და გერმანელებით დასახლებული ზოგიერთი ადგილის გადაცემა გერმანიისათვის.

დასასრულ კორესპონდენტი იუწყება, რომ პოლონეთის საზღვრის გასწვრივ გერმანიის ჯარის რაოდენობა კვლავ მატულობს.

გაზეთ „დეილი ექსპრესის“ ბერლინელი კორესპონდენტი სწერს, რომ თუ პოლონეთი ინგლისთან დასდებს ურთიერთდახმარების შეთანხმებას, გერმანია ძალდაკარგულად ჩასთვლის გერმანია - პოლონეთის პაქტს და ულტიმატუმის ფორმით წაუყენებს პოლონეთს თავის ახლანდელ პრეტენზიებს.

○

პარიზი, 12 აპრილი (საკდესი). გაზეთ „ეპოკს“ მოჰყავს ბერლინიდან მიღებული ცნობა, რომელშიც აღნიშნულია, რომ პოლონეთის ბერლინელი ელჩი ლიპსკი მთავრობისათვის მოხსენების გასაკეთებლად ვარშავას გაემგზავრა.

„რომი-ბერლინის ღერძის“ გეგმების შესახებ

ლონდონი, 12 აპრილი (საკდესი). გაზეთ „ნიუს ქრონიკლის“ ბერლინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ბერლინში დაჟინებით მოითხოვენ, რათა რადიკალურად იქნას გადაწყვეტილი ბალკანეთის ნახევარკუნძულის, ხმელთაშუა ზღვის, ჩრდილოეთ აფრიკასა და კოლონიების პრობლემები. ბალკანეთის პრობლემის რადიკალურ გადასაწყვეტად ჰგულისხმობენ ბალკანეთის ნახევარკუნძულის რუკის სრულიად შეცვლას იმ გზით, რომ გერმანიამ გამოიყენოს ბულგარეთისა და უნგრეთის რევიზიონისტული მისწრაფებანი. რუმინეთმა და იუგოსლავიამ ბულგარეთსა და უნგრეთს უნდა დაუბრუნონ ის ტერიტორიები, რომლებიც მათ ჩამოერთვათ ომის შემდგომ დადებულ საზავო ხელშეკრულებათა შედეგად. თურქეთმა და საბერძნეთმა ბულგარეთისათვის უნდა უზრუნველჰყონ ფართო და უშიშარი გასასვლელი ეგეის ზღვისაკენ. გერმანელთა წრეებში აღნიშნავენ, რომ განხილულ იქნა აგრეთვე იუგოსლავიის გაყოფის საკითხი, მაგრამ იტალია არ იზიარებს ამ წინადადებას, რამდენადაც მას იმედი აქვს დაიმორჩილოს მთელი იუგოსლავია. რაც შეეხება ხმელთაშუა ზღვას, იგი უნდა გადაიქცეს იტალიისა და „მეგობრული ესპანეთის“ კონტროლქვეშ მყოფ ზღვად. ჩრდილოეთი აფრიკა იმავარად უნდა განაწილდეს, რომ დაკმაყოფილებულ იქნას იტალიის სტრატეგიული მოთხოვნები და ამავე დროს ხელი შეუწყოს გერმანიის გადაქცევას ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფოდ.

იტალიის მთავრობის ცნობა

პარიზი, 12 აპრილი (საკდესი). რომში გამოქვეყნდა მთავრობის ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ რიგსგარეშე გაწვევის ჩატარების შემდეგ იტალიის არმიის კადრები მნიშვნელოვნად გადიდდა.

პარიზის პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ იტალიის არმიის საერთო რიცხვი ამჟამად დაახლოებით 1.500 ათას კაცს უდრის.

უნგრეთი გავიდა ერთა ლიგიდან

ბერლინი, 12 აპრილი (საკდესი). როგორც გაზეთი „ბერლინერ ბერზენციატუნგი“ იუწყება, უნგრეთის მთავრობამ ერთა ლიგის გენერალურ მდივანს აცნობა, უნგრეთი ერთა ლიგიდან გავიდაო.

დიდი ინცინდენტი

პრაღა, 12 აპრილი (საკდესი). ქალაქ რაკოვნიკში, რომელიც ჩეხიის საპნის მრეწველობის ცენტრს წარმოადგენს, სააღდგომო დღესასწაულზე დიდი ინცინდენტი მოხდა. ცეკვის დროს ჩეხმა ქალიშვილმა არ მოისურვა გერმანელ ოფიცერთან ცეკვა. ოფიცერი შეეცადა ძალით ეცეკვებინა იგი. მოხდა ინცინდენტი, რომლის დროსაც მოჰკლეს 3 ჩეხი და დააპატიმრეს 26.

კადრი ფილმიდან „ლენინი 1918 წელს“. ლენინის როლში სსრკ სახალხო არტისტი ორდენოსანი ბ. ვ. შჩუკინი და კულაკის როლში რსფსრ დამსახურებული არტისტი ნ. ს. პლოტნიკოვი. საკადრის ფოტოქრონიკა

○

ვ. ი. ლენინი 1918 წელში

თბილისის საუკეთესო კინოთეატრებში „რუსთაველსა“ და „დამკვრელში“ დაიწყო ჩვენება მიმდინარე წლის უმშესანიშნავესი კინონაწარმოებისა — **„ლენინი 1918 წელში“.**

ფილმი ასახავს საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ამაღელვებელ მომენტებს, როცა ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა **ვ. ი. ლენინისა** და **ი. ბ. სტალინის** ხელმძღვანელობით ამარცხებს კონტრრევოლუციის ძალებს, რომელთაც რკინის მარწუხებით უნდოდათ ჩაეხშოთ პროლეტარიატის დიქტატურა.— პროლეტარული ცენტრების პურის რაიონებისაგან მოწყვეტის, პროლეტარიატის ბელადების მოკვლისა და თეთრი ტერორის გაჩაღების გზით.

1918 წლის ისტორიული მოვლენების შეუდარებელი მხატვრული სიმართლით ასახვა, მსახიობთა შესანიშნავი თამაში, გრანდიოზული დადგმა და მუსიკა დიდ ემოციას იწვევს ჩაყურებელში, რომელიც მწვავედ განიცდის ფილმის ყოველ კადრს.

პროლეტარიატის მასწავლებლების **ვ. ი. ლენინის** და **ი. ბ. სტალინის** და რევოლუციის ბელადების გამოჩენას ეკრანზე ისინი მხურვალე ოვაციით უპასუხებენ.

ამ შესანიშნავ ფილმში, რომლის დადგმა ეკუთვნის ორდენოსან-რეჟისორს **მიხ. რომს,** აქტიორული შემოჭედება მაღალ საფეხურზე დგას. ვ. ი. ლენინის როლს ასრულებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ბ. ვ. შჩუკინი,** ი. ბ. სტალინის როლს— ორდენოსანი მსახიობი **მ. გელოვანი,** კ. ე. ვოროშილოვის როლს—**ნ. ბოგოლიუბოვი,** მაქსიმ გორკისას — **ნ. ჩერკასოვი,** ფ. ე. ძერჟინსკისას — **ვ. მარკოვი,** ი. მ. სვერდლოვისას — **ლ. ლიუბაშევსკი,** ნ. კ. კრუპსკაიასას —**ზ. დობინა** და სხვ.

ფილმში მონაწილეობენ აგრეთვე ცნობილი მსახიობები—**ოხლოპკოვი, ვანინი, ტოლჩანოვი, ხოხლოვი** და სხვ.

„ლენინს 1918 წელში“ სიხარულით ნახავს ყველა მშრომელი.

საქართველოს აღკინისწვების რესპუბლიკური თათბირი

საქართველო საბჭოთა აღმინიზმის სამშობლო და საბჭოთა აღმინიზმის პიონერთა ქვეყანაა. 1923 წელს ჩაეყარა აქ მტკიცე საფუძველი საბჭოთა აღმინიზმს, რომლის პიონერებიც იყვნენ პროფ. გ. ნიკოლაძე, პროფ. ა. დიდებულაძე, ექ. ს. ასლანიშვილი და სხვ. ისინი პირველი საბჭოთა მოქალაქეები იყვნენ, სპეტაკი თოვლით გადაღესილ კავკასიონის უმაღლეს მწვერვალებზე, რომ შესდგეს ფეხი.

საბჭოთა კავშირის მომძე რესპუბლიკათა შორის საქართველო ახლაც მოწინავე აღმინისტების ქვეყნად ითვლება. აღმინიზში კი უაღრესად დიდი თავდაცვითი მნიშვნელობის სპორტია. საქართველოს აღმინისტების მოვალეობაა ფართოდ დანერგონ ეს სპორტი მშრომელ მასებში, შეაყვარონ და შეასწავლონ იგი ჩვენს ახალგაზრდობას. როგორ უნდა იმუშაოს საქართველოს აღჭურმა კლუბმა, რომელიც უკვე მესამე წელიწადია არსებობს, რომ ეს თავის ძირითადი და მთავარი მნიშვნელობის ამოცანა პირნათლად შეასრულოს.

ამ საკითხებზე მსჯელობდა 11 აპრილს თბილისში შეკრებილი საქართველოს აღპინრსტთა რესპუბლიკური თათბირი, რომელმაც მოისმინა აღპური კლუბის საანგარიშო მოხსენება, 1939 წლის აღპინისტური მუშაობის გეგმა და საქართველოს აღპური კლუბის ახალი წესდება.

თათბირმა მუშაობა დაამთავრა 12 აპრილს. მან გამოიმუშავა აღპური კლუბის მუშაობის გასაუმჯობესებელი პრაქტიკული ღონისძიებები, დაამტკიცა წესდება და აირჩია კლუბის საბჭო 25 კაცის შემადგენლობით. საქართველოს აღპური კლუბის პირველ საპატიო წევრად თათბირმა ერთხმად და ხანგრძლივი ოვაციით აირჩია ხალხთა ბელადი და ჰასწავლებელი დიდი **სტალინი.** ამავე კლუბის საპატიო წევრად აირჩიეს აგრეთვე **სტალინის** უერთგულესი მოწაფე და საბჭოთა ფიზკულტურის ხელმძღვანელი ამხანაგი **ლ. პ. ბერია.** ამხანაგების — **სტალინისა** და **ბერიას** დასახელების საქართველოს აღპინისტების ფეხზე დგომითა და ტაშით მიესალმნენ. ითქოდა ძახილი: „გაუმარჯოს ჩვენი დიდი ქვეყნის წინამძღოლს—ამხანაგ სტალინს“, „გაუმარჯოს ამხანაგ ლავრენტი ბერიას“.

ფეხბურთი

ორი „დინამოს“ მატჩი

გუშინ ლ. პ. ბერიას სახელობის სტადიონზე შესდგა თბილისის და ლენინგრადის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდების საქალაქთაშორისო მატჩი.

თამაშის პირველ ნახევარში თბილისელებს ქარის წინააღმდეგ მოუხდათ თამაში. მიუხედავად ამისა, მათ ლენინგრადის კარებთან ბევრი სახიფათო მომენტი შეჰქმნეს. პირველი ტაიმი 0:0 დამთავრდა.

განსაკუთრებით საინტერესო გამოდგა თამაშის მეორე ნახევარი. თბილისელებმა მე-15 წუთზე შესძლეს პირველი ბურთის გატანა. 10 წუთის შემდეგ თბილისელებმა სტუმრების კარში მეორე ბურთი გაიტანეს.

მატჩი დამთავრდა თბილისის „დინამოს“ გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

თბილისელმა ფეხბურთელებმა ეს მატჩი მშვენივრად ჩაატარეს.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938-39 წ. სეზონი

14/IV	წარმოდგენა 163 თოფიანი კაცი
15/IV	წარმოდგენა 164 არსენა
16/IV	წარმოდგენა 165 სელელი

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრი

14/IV	უბრალო გოგონა
15/IV	დები ჭერარ
16/IV	დები ჭერარ

დასაწყისი საღამოს 8 ს.
სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახ. თეატრი 1938-39 წ. სეზონი

14/IV	მუდმ. ადგ. ტალ. № 144 კარმენ
15/IV	მუდმ. ადგ. ტალ. № 145 ქეთო და კოტე
16/IV	მუდმ. ადგ. ტალ. № 146 აბ. სერ. № 7 დაისი

სალარო ღიაა დილის 12 საათიდან საღამოს 9 საათამდე.
დასაწყისი საღამოს 8 ს.

ეძიებ
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის მკურნალობა.
ავადმყოფთა მიღება 6-დან 8 საათამდე. ნინოშვილის ქ. (ყოფ. ალექსანდროვის), № 5

გრიგალი თბილისში

12 აპრილს დილიდანვე თბილისში და მის მიდამოებში მძვინვარებდა თბილისათვის უჩვეულო სიძლიერის გრიგალი. ქარის სისწრაფემ წამში ზოგჯერ 34-35 მეტრამდე, ხოლო ერთ მომენტში 38 მეტრამდე მიაღწია.

ძლიერმა გრიგალმა ბევრგან ქუჩებში დაჰგლიჯა ელექტროგადამცემი ელექტროსადენების მავთულები, დაანგრია სახურავები და დააზიანა ნორჩი მცენარეები.

12 აპრილს ღამით გრიგალმა იკლო, შეიღრუბლა და მოსთოვა. დილამდე თოვლი კვლავ გაადნო ამოვარდნილმა ქარმა, ხოლო თბილისის მიდამოებში თოვლმა 13 აპრილამდე გასტანა. ჰაერის ტემპერატურა თბილისში 12 აპრილს ღამის 1 საათისათვის 10 გრადუსი სითბოდან 3 გრადუსამდე დავარდა.

○

საქ. ჰიდრო-მეტეოროლოგიური სამმართველოს ამინდის სამსახურში მომუშავე სპეციალისტ - დამკვირებლების გადმოცემით ასეთი ძლიერი გრიგალი უკვე 48 წელიწადია არ ყოფილა. საარქივო ცნობებში აღნიშნულია, რომ მხოლოდ 1871 წლის 7 მარტს იყო ასეთი ძლიერი გრიგალი, რომლის დროსაც ქარის სისწრაფე საათში 89 ცილომეტრს აღწევდა. (გუშინდელი გრიგალისას ქარის სისწრაფე საათში 90 კილომეტრამდე აღიოდა).

ამინდი საქართველოში

12 აპრილს მთელ საქართველოში მოღრუბლული და ქარიანი ამინდი იყო. განსაკუთრებით ძლიერი ქარი ჰქროდა რაჭა-ლეჩხუმისა და მტკვრის ხეობებში. დასავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში სოოვდა. აღმოსავლეთ საქართველოშიაც უმეტესად თოვდა. კახეთის რაიონებში სწვიმდა.

ჰაერის ტემპერატურამ დაიკლო ყველგან მთელ საქართველოში.

ძლიერი ქარები და საყოველთაო ატეხების მიზეზი, საქართველოს ჰიდრო-მეტეოროლოგიურ სამმართველოს განმარტებით არის შემდეგი:

სკანდინავიის ნახევარკუნძულიდან ჰაერის მაღალი წნევის არე, ანუ ანტიციკლონი დაიძრა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით. 11 აპრილს ღამით ანტიციკლონმა მოაღწია შავი ზღვის სანაპიროამდე და განსაკუთრებული სიძლიერით მძვინვარებდა რუმინეთსა და მის მეზობელ ქვეყნებში. აქედან ანტიციკლონმა გეზი აღმოსავლეთისაკენ იცვალა და მიაღწია კასპიის ზღვას, სადაც ამ დროისათვის (12 აპრილის საღამოს) იყო ჰაერის დაბალი წნევის არე ანუ ციკლონი. ამ გარემოებამ გამოიწვია სიცივის ზრდა და ძლიერი ქარი.

უახლესი ორი დღის განმავლობაში სინოპტიკოსების ვარაუდით მოსალოდნელია ამინდის თანდათანობითი გაუმჯობესება.

გრიგალით გამოწვეული ზარალი

12 აპრილს თბილისში ამოვარდნილმა გრიგალმა ქალაქს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. ქალაქის მთელ რიგ უბნებში დაზიანებულია სახლთა სახურავები, დანგრეულია აივნები და სხვ.

26 კომისართა რაიონში უბედურ შემთხვევასაც ჰქონდა ადგილი. ქარმა მოჰგლიჯა და 60 მეტრზე გადასტყორცნა ე. წ. ეჩმიაძინის ეკლესიის სახურავი, რომელიც შეუმაინის მოედანზე დავარდა. სახურავი დაეცა ორ მოქალაქეს, რომლებიც იქვე გარდაიცვალნენ. მესამე მოქალაქე ს. ჯ. მარკოზოვი, რომელიც ცხოვრობს გუთნის ქ. № 40, მძიმედ დაშავდა. მარკოზოვი მოთავსებულია საავადმყოფოში.

ქალაქის დანარჩენ უბნებში ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

ვლ. მაიაკოვსკის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო

14 აპრილს ს. წ. 9 საათზე ტფილისის კლუბში ეწყობა ვლ. მაიაკოვსკის გარდაცვალების 9 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

მოხსენებას რევოლუციის მგზნებარე პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გააკეთებს ამხ. ლ. ასათიანი. სიტყვებით გამოვლენ ალ. მაშაშვილი, სიმ. ჩიქოვანი, ბ. ჟღენტი.

ვლ. მაიაკოვსკისადმი მიძღვნილ ლექსებს წაიკითხავენ ი. აბაშიძე, კ. კალაძე, პოეტის ლექსების თარგმანს—ი. მოსაშვილი, დ. გაჩეჩილაძე, შ. პატარაძე, გრ. ცეცხლაძე.

მსახიობი ვ. შულაია წაიკითხავს ვლ. მაიაკოვსკის ლექსებს რუსულად.

ჩვენი დღეს

11.00—„თბილისის ახალი ამბები“ ქართულ და რუსულ ენებზე. 11.20—კონცერტი. 11.55—ინფორმაციები და განცხადებები. 12.15—„უკანასკნელ ცნობათა“ დღის გამოშვება ქართულ ენაზე. 17.05—კონცერტი. 17.40 — ინფორმაციები და განცხადებები. 18.10—„უკანასკნელ ცნობათა“ საღამოს გამოშვება ქართულ, რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. 19.00 კონცერტი. 19.30 — საუბარი ქართულ ენაზე—1. „გიორგი საკაძის ეპოქა“, 2. „კოხსულტაცია“. 20.00 — ლიტერატურული გადაცემა ქართულ ენაზე—„ვლად. მაიაკოვსკი“. 20.35—კონცერტი. 21.25 — ვიოლინოზე დამკვრელთა საერთაშორისო ლაურეატის მაშა ფიხტენგოლცის კონცერტის ტრანსლაცია საქფილარმონიის დარბაზიდან. 23.40—„უკანასკნელ ცნობათა“ ღამის გამოშვება ქართულ ენაზე. 00.30—„უკანასკნელ ცნობათა“ ღამის გამოშვება, ტრანსლაცია მოსკოვიდან. 00.58—საათის რეკა კრემლის კოშკიდან.

ქ. კეცხოველის სახელობის პარტკაბინეტის სახლი

ყოველდღე დღის 10-დან 4 საათამდე და საღამოს 8-დან 11 საათამდე სწარმოებს კონსულტაცია ქართულ და რუსულ ენებზე პროპაგანდისტებისა, აგიტატორებისა და იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც სწავლობენ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსს“.

პარტკაბინეტებში

14 აპრილს ქ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი სტალინის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში აწყობს ამხ. ლარიონოვიანის ლექციას თემაზე: დიალექტიკა და მეტაფიზიკა. ქართულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

26 კომუნარის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება ლექცია თემაზე: კომუნისტური პრინციპის შესახებ. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ჭუთაისის საქალაქო კომიტეტი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1534999, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მიერ ბიტკორ ლევანის-ძე ქორძის სახელზე, და საკანდიდატო ბარათი № 0926545, გაცემული ჭუთაისის საქალაქო კომიტეტის მიერ სიმონ ზაქარიას-ძე კოზალიშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

○

საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 2850617, გაცემული ამავე რაიკომის მიერ თეკლე ანდრონა-ასულ თევზაძის სახელზე, პარტბილეთი № 2847395, გაცემული ამავე რაიკომის მიერ იოსებ სიმონის-ძე აბუსერიძის სახელზე, და საკანდიდატო ბარათი № 1262007, გაცემული ამავე რაიკომის მიერ ქსენია იოვრამის — ასულ დარჩიას სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

კინოთეატრები „რუსთაველი“ და „დამკვრელი“

დღეს და ყოველდღე დიდი ხმოვანი ფილმი, „მოსფილმის“ ორდენოსანი სტუდიის ნაწარმოები

ლენინი 1918 წელს

სცენარი ა. კაპლერისა და ტ. ზლატოგოროვისა
რეჟისორი მიხ. რომი

შემსრულებლები: ვ. ი. ლენინი—სსრკ სახ. არტ. ბ. ვ. შჩუკინი
ი. ბ. სტალინი—ორდენოსანი მ. გ. გელოვანი
კ. ე. ვოროშილოვი—ნ. ი. ბოგოლიუბოვი
მაქსიმ გორკი—რესპ. დამს. არტ. ნ. კ. ჩერკასოვი
ფ. ე. ძერჟინსკი—ვ. პ. მარკოვი
ი. მ. სვერდლოვი—ლ. ს. ლიუბაშევსკი
ნ. კ. კრუპსკაია—ზ. ვ. დობინა

ბილეთების წინასწარი გაყიდვა ყოველდღე დღის 12 საათიდან.
კინოთეატრების ფოიეებში ჯგაზ-ორკესტრი.

დარია ალექსანდრეს-ასული, ნიკოლოზ, ალექსანდრე, მარგალიტა მუსხელიშვილები იუწყებიან

ივანე ლევანის-ძე მუსხელიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14/IV, 8 ს. გამოსვენება 15/IV, 4½ ს. პეტრანოვის, 111. კუკიის სასაფლაოზე. 1448

მეუღლე აღათი, შვილები გოგოლა, თეონა, ია, საშა, რომან, რძლები ლიზა, აფროდიტა, სიძეები არტემ, სანდრო, შვილიშვილები იუწყებიან

ნესტორ გრიგოლის-ძე შაქარიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ჩოხატაურში 15/IV. 1436

ანეტა, დათიკო, გრიშა, კოლია, თამარ, ოლია, ჭყონია, ლოლა, მარგალიტა ლეჟავები ოჯახებით იუწყებიან ალექსანდრე ლეჟავას ბაჟშვის

ჯემალიკოს

გარდაცვალებას. გამოსვენება 14/IV, 5½ ს. საბჭოს, 60. კუკიის სასაფლაოზე. 1438

თბილისის №-17 საშუალო სკოლის თანამშრომლები იუწყებიან ამავე სკოლის მასწავლებელ გრიშა კობახიძის მეუღლის

ჟენიას

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 4½ ს. ბერძნის, 5. დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე. 1445

სახუნტის ფიზიკური გეოგრაფიისა და ჰიდროლოგია – კლიმატოლოგიის კათედრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ დოც. იესე ნესტორისძე შაქარიშვილს მისი მამის

ნესტორ გრიგოლის-ძე შაქარიშვილის

გარდაცვალების გამო. 1442

დამწუხრებული მამა ისაკი, ცოლი ოლია, ძმები ტარიელ, საშა, ქრისტეფორე, ტერენტი, და ალიანდრა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საყვარელი

კოსანდილე ხოფერია

დასაფლავება ლანჩხუთში 15/IV. 1447

ცოლი თებრონე, შვილი ქეთო, დედა მატრონე, სიძე დათიკო მგელაძე, დები ქსენია ვასაძისა, შუტუ სულაქველიძისა იუწყებიან, რომ 16/IV ლანჩხუთში დაინშნულია

სიმონ შალვას-ძე ცინცაძის

პანაშვიდი. 1440.

მეუღლე ლიდა, შვილები დიმიტრი, ნინო, გენია, მირა, ძმები, დები იუწყებიან აკრონომ-მასწავლებლის

იპოლიტე დიმიტრის-ძე ანთაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს 7 ს. საბჭოს, 77. გამოსვენება 15/IV, 5 ს. კუკიის სასაფლაოზე. 1443

ცოლი მაგია შვილებით, დები ლოლა, მარმალა, რძალი ვერა ხუტუთი, სიძეები ა. ჭანტურია, ჯ. ლოლუა შვილებით იუწყებიან, რომ 16/IV, ს. ობუჯში დანშნულია

იროდი ბიჭიას-ძე შენგელაიას

პანაშვიდი. 1444

საქ. ისტორიული ინსტიტუტის არაორგანული ქიმიის კათედრის წევრები თანაგრძნობას უცხადებენ აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილს მისი მამის

ივანე ლევანის-ძე მუსხელიშვილის

გარდაცვალების გამო. 1446

საკავშირო აკადემიის საქართველოს ფილიალის პრეზიდიუმი, პარტკომი და თანამშრომლები ღრმა მწუხარებას უცხადებენ აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილს მისი მამის

ი. ლ. მუსხელიშვილის

გარდაცვალების გამო. 50

ცოლი ვერა სერგოს-ასული, შვილი პეტრე, რძალი მარო შვილებით ვლადიკით და გლეხ გნუტოვები იუწყებიან

ანტონ ივანეს-ძე გნუტოვის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 14/IV, 7 ს. არქივის შესახვ., 10. 1450

დამწუხრებული მამიდა ვარუშა ჭრიით ბაგრატით, შვილით ჯიმშერით ქაჯაიები იუწყებიან

პატარა ლიანა ლევანის-ასული

მაჭავარიანის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 5 ს. თერგის, 14. დაკრძალვა ვაკის სასაფლაოზე. 1441

გ. აგულაძე

ვლადიმერ მაიაკოვსკი

ცხრა წელი სრულდება ვლადიმერ მაიაკოვსკის გარდაცვალებიდან. ამ ხნის განმავლობაში სოციალისტურმა ქვეყანამ უდიდესი მიღწევები მოიპოვა. იმ გმირულმა კლასმა, რომელსაც ნიჭიერმა პოეტმა ოდესღაც ასეთი მგზნებარე სტრიქონები უძღვნა

— მე
ჩემი ლექსის
მჭექარე ძალას
შენ
განაცვალებ,
შემტევო კლასო!, —

ძლევამოსილად დაამთავრა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ორი ხუთწლედი, შეუქმნა მშრომელთ ბედნიერი, საამური და სასიხარულო ცხოვრება, შეამზადა პირობები სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასასვლელად. მაიაკოვსკის ნატერაც ეს იყო! მადლიერმა კლასმა, რომელსაც მან თავისი ლექსის მგზნებარე ძალა ანაცვალა, ნამდვილად ხელთუქმნელი ძეგლი დაუდგა თავის პოეტს.

დე,
ჩვენ
საერთო ძეგლად
დავდგათ
სოციალიზმი
ბრძოლით ნაგები!

სტალინური ეპოქის მწერალს შეუძლია ბევრი რამ ისწავლოს მაიაკოვსკისაგან, მას შეუძლია ისწავლოს მისგან მტრის სიძულვილი და თავისი სამშობლოს სიყვარული ისე, როგორც ეს დიდებულ პოეტს შეეძლო. ლიტერატურის ისტორიამ არ იცის სხვა მწერალი, რომელიც ესოდენი სიძულვილით იყოს გამსჭვალული კაპიტალისტური სისტემის და ბურჟუაზიული ესთეტიზმის მიმართ.

მას შემდეგ, რაც 1905 წლის რევოლუციით გალვიძებულ ქუთაისში ყურს ჩაეწვეთა იროდიონ ევდოშვილის მომწოდებელი ჰანგი „მეგობრებო, წინ, წინ გასწით!“, პოეტმა თავისი ბედი მტკიცედ დაუკავშირა მუშათა კლასს და ბოლშევიკურ იატაკქვეშეთს. მაშინ მაიაკოვსკი ლიტერატურის შორიახლო იდგა. უკუღმართი საზოგადოებრივი ურთიერთობის დასამხობად მას ხელთ ეპყრა მარქსისა და ენგელსის, ლენინისა და სტალინის ნაწერები და ხარბად ეწაფებოდა პარტიულ ლიტერატურას.

კრასნაია პრისნის რაიონის ახალგაზრდა პროპაგანდისტი, არალეგა-

ლური სტამბის მუშაკი სამჯერ დააპატიმრა მოსკოვის ჟანდარმერიამ. 15 წლის მაიაკოვსკიმ 11 თვე დაჰყო ბუტირის ციხეში. ბოლშევიკურ იატაკქვეშეთში გაიოცნოთო მისი მებრძოლი სული, პარტიულ მუშაობაში მომწიფდა მისი შეგნება და ჩამოყალიბდა მისი მსოფლმხედველობა.

რევოლუციამდელი მაიაკოვსკი კაპიტალისტური საზოგადოების შეურიგებელი მტერია. თავის უკვდავ სატირულ პოემებსა („ღრუბელი შარვალში“, „ომი და მსოფლიო“, „ადამიანი“) და ლექსებში ის მკვეთრად უპირისპირებს ერთმანეთს საზოგადოების ორ ფენას და აღგზნებული აღიარებს პროლეტარების მაღალ მორალურ ღირსებებს განცხრომაში ყოფ ბურჟუებთან შედარებით.

ვლადიმერ მაიაკოვსკი ერთ-ერთი იმ პოეტთაგანი იყო, რომელმაც გაბედულად შეაფურთხა იმპერიალისტური ომის „უწმინდეს მისიას“. მან დაუნდობლად ამხილა ის თვალთმაქცობა და ორპირობა, სიცრუე და გაიძვერობა, რაც ბურჟუაზიულ ჰუმანიზმს ახასიათებს და რამაც თავი იჩინა მსოფლიო სისხლისმღვრელ ომში.

იმპერიალისტურმა ომმა ნიღაბი ჩამოხსნა იმ „რევოლუციონერ“ ინტელიგენტებს, რომლებიც ომით თავბრუდასხმულნი ნიერეკებოდნენ სასაკლაოზე მილიონობით მშრომელებს ერთ მუჭა კაპიტალისტთა ინტერესების დასაცავად.

მაიაკოვსკიმ მალე ამხილა ბუნება ამ საზიზღარი ომისა. საერთო შოვინისტურ ღრიანცელში ვან გაბედულად აღიმაღლა ხმა:

„არავინ გთხოვათ
მსგავსი გამარჯვება
მოგეღოთ სამშობლოს წვითა,
სისხლიან სადილს უხელო ნაღებს
ის რა ჯანდაბად გვინდა!?“

ხალხის მტრები — კონტრრევოლუციური ტროცკისტ-ბუხარინელი გარეწრები და ვულგარული სოციოლოგები ცდილობდნენ მაიაკოვსკის გაბედული პროტესტის გაბიაბრუებას. ისინი უწოდებდნენ მას „ინდივიდუალისტურ ბუნტს“, „ინტელიგენტურ ჰუმანიზმს“ და სხვ. და განგებ სურდათ დაემცირებინათ პოეტის მდიდარი პოეტური წარსული, რომელიც ოქტომბრის დიად რევოლუციაში გაბარკვებულმა მუშათა კლასმა აღტაცებით მიიღო.

სოციალისტურ რევოლუციას ვლადიმერ მაიაკოვსკი დიდის სიხარულით შეხვდა და მ. გორკისა და ვ. ბრიუსოვთან ერთად უყოყმანოდ ჩადგა მის მებრძოლთა რიგებში. თავისი დიდი პოეტური ტალანტი— მრავალფეროვანი პოეტური ფორმა, მძლავრი რიტმი, ჰუმორი, მწვავე სარკაზმი, უდიდესი შემოქმედებითი პათოსი და რევოლუციური აღტყინება მან მთლიანად მუშათა კლასის ბრძოლას ამსახურა. აქ მან გამოამჟღავნა თავისი ქვეყნის ულრმესი სიყვარული, მისი მოქალაქეობის საამაყო გრძნობა

„წაიკითხეთ,
გშურდეთ —
ვარ მოქალაქე
საბჭოთა კავშირის“.

მკითხველთა მილიონიან მასასთან მისასვლელად მაიაკოვსკის დასჭირდა ახალი, პოეტური მეტყველების შექმნა. მისი ენა გასაგებია ფართო აუდიტორიისათვის. აზრის გამოსახვის ლაკონიურობა და სიმძაფრე ახასიათებს პოეტის ენას. ესაა მისი ერთერთი დიდი დამსახურება მშობლიური ლიტერატურის წინაშე. სამოქალაქო ომების პერიოდში, როცა საჭირო იყო მოკვეთილი ლოზუნგები. მაიაკოვსკი „როსტას“ ფანჯრებიდან ისროდა ფართო მასებისათვის ასეთ მარტივ ენაზე დაწერილ ლოზუნგებს:

„ანტისემიტი ანტანტამ ჰკოვა;
ანტანტა არის ყაჩალთა ხროვა!“

და აღაგზნებდა საბჭოთა სამშობლოს დასაცავად, ბლოკადისა და კონტრრევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად მუშებისა და გლეხთა ფართო მასებს.

მკითხველთა ფართო გასებთან ვ. მაიაკოვსკიმ თავისი მრავალფეროვანი თემატიკითაც გაიკვლია გზა. „ჭრიტიკოსებში“ ხშირად უსაყვედურებდნენ, რომ მან ლექსის თემად ინტისემიტიზმთან, სპეკულაციასთან ბრძოლა და ყოველდღიური წვრილმანები გაიხადა. მაგრამ სწორედ ეს კონკრეტული თემები ამჟღავნებდნენ მის დიდ პოეტურ ძალას. ყოველი ასეთი ლექსი სოციალიზმის საერთო ამოცანებს ასახავს. მისი ლექსები ბოლშევიკური პარტიულობით არიან გამსჭვალულნი, რამაც იგი ნამდვილ სახალხო მოღვაწედ აქცია. მისი პოემები „ვ. ი. ლენინი“, „კარგია“ და სხვა მილიონების საყვარელ წიგნებად გადაიქცა.

ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომელსაც ჩვენ უკვე 9 წლის მანძილით დავშორდით, კვლავ ც